საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N01-02/298

ქ. ბათუმი 19 დეკემბერი, 2022 წ.

ბსუ-ს სტუდენტებისათვის ,,მწვანე სტიპენდიის" დანიშვნისა და გაცემის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს" (შემდგომში - „ცენტრი") და ბსუ-ს შორის 2022 წლის 22 ივლისს დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის და ამავე მემორანდუმის 2.1. პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად 2022 წლის დეკემბერში გაფორმებული ,,მწვანე სტიპენდიის დაფინანსების ხელშეკრულების", ,,მწვანე სტიპენდიის" მიმღებ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა შერჩევის თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 16 დეკემბრის N01-02/297 ბრძანების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის მიერ სტიპენდიანტების შერჩევის თაობაზე ამავე ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 19 დეკემბრის სამსახურებრივი ბარათის (N-1625646, 19.12. 2022 წ.) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2022-23 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დაენიშნოთ და გაიცეს ,,მწვანე სტიპენდია", თითოეულზე 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, **ბსუ-ს** სამაგისტრო პროგრამების შემდეგ 3 სტუდენტზე:

   ა) **ამირან მექვაბიშვილი** (პ/ნ - ბსუ-ს ,,ეკოლოგიის" სამაგისტრო პროგრამის მე-2 სასწავლო წლის სტუდენტი;
   ბ) **სოფიო აბულაძე** (პ/ნ) - ბსუ-ს ,,ეკოლოგიის" სამაგისტრო პროგრამის მე-2 სასწავლო წლის სტუდენტი;
   გ) **ქართლოს მანველიძე** (პ/ნ - ბსუ-ს ,,ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება" სამაგისტრო პროგრამის მე-2 სასწავლო წლის სტუდენტი;

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტმა წინამდებარე ბრძანების აღსრულებისათვის უზრუნველყოს:** ა) სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის' ინფორმირება ,,მწვანე სტიპენდიის" მიმღები სტუდენტების შერჩევის საფუძველზე გამოცემული სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე ბსუ-ს რექტორის წინამდებარე ბრძანების შესახებ, ასევე ცენტრის მიერ ჩამორიცხული თანხის შესაბამისი სტუდენტებისათვის მწვანე სტიპენდიის ჩარიცხვის თაობაზე ინფორმაციის და დოკუმენტაციის წარდგენა; ბ) თითოეული სტუდენტისათვის წინამდებარე ბრძანების

გაცნობა, გაგზავნა და მათ პირად საქმეში განთავსება (პერსონალური მონაცემების დაცვით).

3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,რექტორის ბრძანებები'').
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიურ სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**